

## ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

თანამემამულეებო, 2014 წელი იწურება იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომიდან, მაგრამ სრულიად საქრისტიანო დღესაც დიდი სიხარულით ხვდება ამ დღესასწაულს.

იესო ქრისტემ ქვეყნიურ ცხოვრებაში უამრავი სასწაული მოახდინა, მაგრამ სიდიადითა და ღვთიურობით აღდგომა უველა სასწაულზე მაღლა დგას.

აღდგომით უფალმა თვით სიკვდილი დაამარცხა და ამიტომაცა ეს დღე სიმბოლო სიკვდილის დაპარტახებისა და კეთილის ბოროტზე გამარჯვებისა. თითქმის თვრამეტი საუკუნეა, რაც ჩვენი ერი ქრისტეს სიყვარულით აშენებს ქვეყანას და იკვრებს მტერს. ქრისტიანობამ საქართველო იმ ნათელი სხივით „დააღა“, რომელიც ჩვენს სამშობლოს სამუდამო დაცემისა და გაქრობის საშუალებას არასდროს მისცემს. ამაშია ჩვენი ერის სიმღიერე და ამიტომაც გვიყვარს გამოჩენილადსაუფლო დღეები, განსაკუთრებით კი აღდგომა.

გილოცავთ ამ უდიდეს დღესასწაულს. უფალმა მოგვამდლოს უოველი სიკეთე და სათნაობა. მრავალი აღდგომა გვეხეიძოს წარმატებულ და განახლებულ დედოფლისწყაროში.

ქრისტე აღდგა!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლი ნიკოლოზ ჯანიაშვილი



მვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს-უდიდეს დღესასწაულს ქრისტიანულ სამყაროში.

აღდგომა ნიშნავს სიცოცხლეს, იმედს, ნიშნავს, რომ სიკვდილი და ცოდვა დამარცხდა. აღდგომა ნიშნავს, რომ ადამიანის გულის სიღრმეში მოკაიფე სურვილი, — და ეს მუდამ სიცოცხლის სურვილია- გამარჯვება. იესოს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის წყალობით, ჩვენს სიკვდილზე იხეიძებს გამარჯვებას. „მვირფასო ძმებო და დებო, მამ, ნუ შეგეშინდება და მოიქცევი ზეტრეს და იოანეს მსგავსად: სწრაფად გაეშურეთ აკლდამისკენ, სადაც სამუდამოდ უზირებდნენ დასამარცხებს სიცოცხლის უფალს, სინამდვილეში კი მან სიკვდილი დათრგუნა და მკვდრეთით აღდგა“ — ამბობს ერთი წმინდა მამა.

ქრისტე აღდგა!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! — ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

დღესასწაულს შესახვედრად მორწმუნეები სულიერად ემზადებიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობა — ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. ორშაბათიდან კი ვნების კვირეული იღებს სათავეს.

ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთშაბათს — საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს აწესებს და ნითელ პარასკევს — ქრისტეს ჯვარცმის დღეს. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის.

პარასკეობით ნითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა — მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა. დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნესათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავესე მთვარის პირველ კვირა დღეს. ნელს მართლმადიდებლურ სამყაროში ნამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 20 აპრილს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: „მესამე დღეს მკვდრეთით აღდგები“. კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მინისძვრა იგრძენს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხობთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოახსრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მამინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მეზღაეო. მამინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: „მარიამ!“ მარიამმა მამინევი იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთი-

სა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა“. მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიიზინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა — ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მონაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი ნეულეები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების ნითლად შეღების ჩვეულება. ეს ტრადიცია ნითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინე-

ლი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი განითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გაგარდისფრდა, ბოლოს კი განითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, ნითელი კვერცხი — მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის ნითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული ნითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამოცხვარი პასკე მაცხოვრის გვახსენებს, რომელიც ამბობს: „მე ვარ პური ზეცით გარდამოსული“.

ქრისტე აღდგა!!!  
გილოცავთ!

**ინტერვიუ**  
**რეპორტაჟთან**



23. 8

**სტიქიით დაზიანებული**  
**სახლების სახურავები**  
**შეკეთდა**



23. 3

**ვერობარლამუნაბა**  
**„სამხრეთ ნაპალი“**  
**უჩიარაის**  
**გადაწყვილივა**  
**მიიღო**

23. 2

**მიმოვაპული საფლავები დაასუფთავეს**

ქალაქ დედოფლისწყაროს №1, №2 და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლების უფროსკლასელმა მოსწავლეებმა დედოფლისწყაროში მიტოვებული საფლავები დაასუფთავეს, გააფხეს ხეებიც.



დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ახალგაზრდული კლუბი „გორდა“-ს ინიციატივით განახორციელდა. მსგავსი ტიპის აქციებებს ახალგაზრდული კლუბი დედოფლისწყაროში პერიოდულად ატარებს.

# ინაკლი ღარბაშვილი — ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი 7 %-მდე დაეცა

პრემიერ — მინისტრმა ირაკლი ღარბაშვილმა კომენტარი გააკეთა ბიძინა ივანიშვილის საქართველოდან შესაძლო წასვლასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე. პრემიერის თქმით, აღნიშნულ ქორს „ნაციონალური მოძრაობა“ ავრცელებს, რომლის რეიტინგიც 7 პროცენტამდე დაეცა.

„ამ ქორებს ავრცელებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. ბატონი ბიძინა ივანიშვილი არსად არ აპირებს წასვლას. ის საქართველოდან არ წასვლა მამინ, როცა ყველაზე მეტად იყო სახიფათო. ვგულისხმობ იმ პერიოდს, როცა შემოვიდა პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, საუბარი და სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი აპირებს საქართველოს დატოვებას, მე მგონი, ძალიან გადაჭარბებული და დიდი სისულელეა. ამას ავრცელებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, რომელთა რეიტინგი დაახლოებით 7 პროცენტია. სხვათაშორის, გუშინ გავიგე, რომ 7 პროცენტამდე დაეცა მათი რეიტინგი“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარბაშვილმა საარჩევნოდ გამოცხადებული მორატორიუმის შესახებ დასმულ კითხვასაც უპასუხა. „საარჩევნოდ დაკავებულზე მორატორიუმის გამოცხადებას არასწორი ინტერპრეტაციები მიეცა. ეს არის ძალიან ნორმალური და ცივილიზებული ფორმა და ამაზე დამატებითი კითხვები არ უნდა არსებობდეს“, — განაცხადა ირაკლი ღარბაშვილმა.

## ზირველკლასელთა რეგისტრაცია იწყება

2014-2015 წლისათვის პირველკლასელთა რეგისტრაცია 23 აპრილს დაიწყო. სკოლაში ბავშვის შეყვანა მშობელს შეუძლია, თუ ბავშვს 6 წელი 2015 წლის 1 იანვრამდე უსრულდება ან 2013-2014 სასწავლო წელს სწავლობენ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სწავლის დაწყების მოსამზადებელ კლასში/განყოფილებაზე და 5 წელი 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, რეგისტრაცია ჩატარდება 3 ეტაპად:

I ეტაპი - რეგისტრაცია 2014 წლის 23 აპრილს დაიწყო და 2 მაისს დასრულდება.

სკოლაში რეგისტრირდებიან ის მოსწავლეები: რომლის დამცვა სწავლობს ამ სკოლაში; რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია;

რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

პირველ ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2014 წლის 5 მაისიდან 15 მაისს ჩათვლით.

II ეტაპი - ონლაინ რეგისტრაცია - რეგისტრაცია დაიწყო 2014 წლის 20 მაისს და დასრულდება 20 ივნისს.

ნებისმიერი მოსწავლის დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება ონლაინ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე.

III ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2014 წლის 23 ივნისიდან 4 ივლისს ჩათვლით.

IV ეტაპი - რეგისტრაცია დაიწყო 2014 წლის 10 ივლისს და 18 ივლისს დასრულდება.

სამინისტროს ინფორმაციით, წინა ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, გამათავისუფლებულ ადგილზე, იმ მოსწავლეების რეგისტრაცია განხორციელდება, რომლებიც I და II ეტაპზე ვერ დარეგისტრირდნენ და შესაბამის დოკუმენტებს წარადგენენ.

## სტომატოლოგიური კლინიკებისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდება

2014 წლის 1 მაისიდან სტომატოლოგიური კლინიკებისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდება. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 1 მაისიდან დაიწყება გარდამავალი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ვიზიტები გარკვეულ სტომატოლოგიურ კლინიკებში.

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის გარდა, კლინიკებს დაევალია სათანადო პირობების დაცვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (პანდუსები მონყობა). ყველა სტომატოლოგიური კლინიკა ვალდებული იქნება, დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოში წარადგინოს საქმიანობის შესახებ შეტყობინება.

გარდა ამისა, სტომატოლოგიური პოლიკლინიკის კაბინეტებისათვის (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ბავშვთა, ორთოდონტიული) ძირითად სტომატოლოგიურ სავარძელზე განსაზღვრულია 14 მ2 და ყოველ დამატებით სავარძელზე კი 7 მ2 ფართობი.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული რეგულაციები საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავდა.

გარდამავალ ეტაპზე ვიზიტისას თითოეული კლინიკის ხელმძღვანელს გაენიშა სრულყოფილი კონსულტაცია ტექნიკურ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ და მიეცემა გონივრული ვადა ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოსწორების მიზნით.

სამინისტროს ცნობით, გარდამავალი ეტაპი არავითარ შემთხვევაში არ იქნება კლინიკების დაჯარიმებაზე ორიენტირებული, არამედ კლინიკების ხელმძღვანელებს მიეცემათ შესაძლებლობა, გამოსწორონ ხარვეზები გონივრულ ვადებში.

## შსს გენერალური ინსპექციის უფროსმა ზვიად ჯანყაშვილმა თანამდებობა დატოვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსმა ზვიად ჯანყაშვილმა თანამდებობა დატოვა. გადადგომასთან დაკავშირებით მან განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან ჩემს მოქალაქეობრივ ვალად მიმაჩნდა გვერდში დავდგომოდი კოალიციას და მონაწილეობა მიმიღო იმ ბრძოლაში, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წამოიწყო სააკაშვილის რეჟიმისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად.

არჩევნებში ჩვენი პოლიტიკური ძალის გამარჯვების შემდეგ, მე ჩავდექი სახელმწიფო სამსახურში. ერთგულად ვემსახურე საერთო საქმეს და პირნათელი ვარ ჩვენი ქვეყნის წინაშე. გარდამავალ პერიოდში მე ვებმარებოდი და ერთგულად ვედექი გვერდში მთელ პოლიტიკურ გუნდს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარბაშვილს.

დღეს, როდესაც უკვე გარდამავალი ეტაპი დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ და მასთან დაკავშირებული სიძნელეები გადალახულია, ასევე, ოფიციალურად გამოცხადდა წინასწარჩვენი პერიოდი, საქმიანად ვთვლი, დაეტოვო თანამდებობა, რადგან არ მინდა ჩემმა ყოფნამ ამ თანამდებობაზე გამოიწვიოს უხერხულობა, საზოგადოებაში დარჩეს რაიმე სახის შეკითხვა, ადგილი ჰქონდეს ხელახალ სპეკულაციებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ნათესაობის თემაზე და ამით ხელი შეეშალოს იმ დიდ საქმეს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარბაშვილი უდგას სათავეში ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ“.

## ევროპარლამენტმა „სამხრეთ ნაკადის“ შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო

ევროპარლამენტმა რუსული გაზსადენის „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო და ევროკავშირის მოუწოდა, უკრაინას რუსეთთან გაზის საკითხში არსებულ დავაში დაეხმაროს. ამის შესახებ „უნიანი“ იუწყება.

ევროპარლამენტის რეზოლუციის თანახმად, რომელსაც დღეს სტრასბურგში უყარეს კენჭი, „ევროპარლამენტი მიიჩნევს, რომ გაზსადენი „სამხრეთის ნაკადი“ არ უნდა აშენდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიწოდების სხვა წყაროები“.

გარდა ამისა, ევროპარლამენტარები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის დახმარება უკრაინისადმი გაზის რევერსის უზრუნველყოფაში და ევროკავშირთან აქტუური ურთიერთკავშირები კიევის უსაფრთხოს გახდის პოლიტიკური და ეკონომიკური ზენოლისგან.

ცნობილია, რომ ამ დროისთვის ბულგარეთმა თავის ტერიტორიაზე ნავთობსადენის „სამხრეთ ნაკადის“ იმ მიწების დემონტაჟი განახორციელა, რომელიც 2013 წელს რუსული „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან ერთად დამონტაჟდა, როგორც „სამხრეთ ნაკადის“ დაწყების სიმბოლო.

## ეკოკლუბის წევრებმა სოფელ სამრეკლოში ტაძრის ეზო დაასუფთავეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში, სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის ეზოში მდებარე ნაძვარი დაასუფთავეს.

დასუფთავების აქცია ეკრძო სკოლა „ბენაურის“ ეკოკლუბ „თეთრი აკაციის“ წევრებმა მოაწყვეს.

„სოფლის კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაც დავასუფთავეთ. ვიმედოვნებთ, რომ ამ კეთილშობილ საქმეში სხვებიც მოგვბაძავენ და ერთად შევძლებთ ჩვენი რაიონის დასუფთავებას,“ — აცხადებენ ეკოკლუბის წევრები.

ამას გარდა, „ბენაურის“ მოსწავლეებმა გასულ კვირას აქცია „გაფუფრთხილდეთ ნყალს“ გამართეს.



## საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა

საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. აქამდე ჯგუფის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებული შტატები იყო. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG) სახელმწიფოთა არაფორმალური გაერთიანებაა, რომლის მიზანი ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის გამარტივებაა.

WWTG-ს წევრები არიან - აშშ, კანადა, არგენტინა, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და საქართველო.

საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა 1 წლის განმავლობაში, 2015 წლის აპრილის ჩათვლით იქნება. ასევე გადაწყდა, რომ WWTG-ს მორიგი პლენარული შეხვედრა 2014 წლის 25-27 აგვისტოს თბილისში გაიმართება. რაც შეეხება WWTG-ს ყოველწლიურ მუასასესიო შეხვედრას, მასზე ღვინით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები განიხილება. მათ შორის, პესტიციდების ზღვრები, ტექნიკური ბარიერები, ტრადიციული ტერმინები, წვერი ქვეყნების მიერ ორმხრივი მოლაპარაკებებისა და საგაჭრო შეთანხმებების მიმდინარეობა და ა.შ.

## ნავსაყრელი გაიწმინდა



ბოშებით დასახლებულ სოფელ ქოეთში ნავსაყრელი გაიწმინდა. სამუშაოები დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახურმა შსს „სერვისი 2007“-მა აწარმოა.

ადგილობრივების განმარტებით, ნავსაყრელი სოფლის შესასვლელში გაზაზე თვითნებურად იყო მოწყობილი, რითიც ადგილობრივები შეწუხებულნი იყვნენ. მათი თქმით, ზაფხულის დადგომასთან ერთად ნავსაყრელი ადგილობრივების ჯანმრთელობას სულ უფრო მეტ საფრთხეს ქმნიდა.

როგორც დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახურის უფროსმა ელიზბარ ალუღოვიძემ „შირას“ განუცხადა, რამდენიმე კვირის წინ სოფლის კრებაზე, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, სოფელ ქოეთის მაცხოვრებლებმა ნავსაყრელის მოწესრიგების საკითხი დააყენეს.

„ვინაიდან თხოვნა იყო, რომ გაზაზე არსებული ნავსაყრელის პრობლემა მოგვარებულიყო, გამგეობამ გამოიხატა კეთილი ნება და საჩუქრად, მისი დასუფთავება უზრუნველყო. ამაში სოფლის დახმარების პროგრამით ქოეთისთვის გათვალისწინებული თანხები არ დახარჯულა,“ - აღნიშნავს ელიზბარ ალუღოვიძე.

ქოეთის მაცხოვრებლებს სხვა პრობლემებიც აწუხებთ, თუმცა ტერიტორიის დასუფთავების შემდეგ გაჩნდა კითხვა, სად წაიღოს მოსახლეობამ საყოფაცხოვრებო ნარჩენები. დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანაშიაშვილმა აღნიშნა, რომ დასუფთავების სამსახურის ავტომანქანა სოფელში ყოველკვირეულად ივლის, რათა ხელახალი ნავსაყრელი არ წარმოიქმნას და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სოფლიდან გატანა დროულად მოხერხდეს.

## სატვირთო ავტომანქანა ავტოფარეხში შევარდა



15 აპრილს, ღამით, დედოფლისწყაროში, შერეთის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

სწრაფად მოძრაი ზილის ტიპის სატვირთო ავტომობილი გზიდან გადავარდა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე ავტოფარეხის შენობას დაეცა.

თვითმხილველების განმარტებით, მძღოლი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია, რომელმაც მოკვლევა დაიწყო.



# დროა, ვიფიქროთ მტაცებლებთან თანაარსებობაზე!

თუ ღამის საათებში თქვენს ბინასთან ახლო-მახლო ტურის ან მგლის ყმული გესმით და ამით მძაფრი ემოციები გუფლავდება, ბრაზობთ და აცხადებთ ამ საზოგადოებრივ ცხოველებს აქ, ჩვენამდე რა უნდაო, ამერიკიდან აღარ გაბრაზდეთ, წურც შიში დაგუფლავდა და შეაგუეთ თქვენი თავი, რომ ის ცხოველებიც იმ გარესამყაროს აუცილებელი ნაწილი არიან, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ საცხოვრებლად.

ზოგჯერ მგლის და ტურის ხმაური შესაძლოა ქალაქშიც გაიგონოთ. ეს შესაძლოა იმიტომაც ხდებოდეს, რომ ჩვენ თავად ბუნებასთან სახლოვებს ავირჩიეთ ცხოვრება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ეს ველური ბუნება და ექსტრემალური გვიხილავს, ამიტომ, იმასაც ადვილად უნდა შევეგუოთ, რომ საღამოს საათებში მათი ხმაური გავიგონოთ. დიას, უნდა ვისწავლოთ ყველამ, რომ არ უნდა უფულებელვყოთ ისინი და შევეგუოთ, რომ მტაცებელი ცხოველებიც ჩვენი გარესამყაროს ნაწილი არიან და მათაც აქვთ სიცოცხლის უფლება. მით უმეტეს, რომ ქალაქის განაპირას არსებული ნაგავსაყრელები, თვითონვე ვიზიდავს ამ ცხოველებს ჩვენს სახლოვებს. არაყის ახსოვს ჯანმრთელი მგლისგან ან ტურისგან ნაგები ადამიანი, ისინი თურმე ადამიანებს არ ერჩიან, პირიქით, მათ ბუნებისთვის, და შესაბამისად ადამიანისთვისაც, დიდი სარგებელი მოაქვთ. დღეისთვის უკვე ცნობილია, რომ არის ქვეყნები სადაც მგელი საერთოდ გადაშენდა და იქ ყველაფერს ცდილობენ რეგენერაცია მოახდინონ ამ ცხოველის, რადგან მათ ესმით ამ მისი არსებობის აუცილებლობა, მგლის ხომ ტყის სანიტარს ეძახიან, ის ხშირად დაავადებული, სუსტი ცხოველებით იკვებება, რითაც ველური ბუნებას დაავადების საფრთხისგან იცავს. საქართველოში მგელი, მართალია უკვე მცირე ფორმით, მაგრამ კვლავ ბინადრობს და ჯერ კიდევ არ დამდგარა ჩვენი ქვეყნის ველური ბუნება იმ საფრთხის წინაშე, რომელიც ბევრი სხვა ქვეყნის ბუნებას დაუდგა წინ. ამიტომ დღეს, შესაბამისი სამსახურები ყველაფერს ცდილობენ, რომ მისი გადაშენების საფრთხის წინაშე არ დადგეთ.

ვფიქრობ, რომ ვინც დღეს ამ საქმით არის დაკავებული აგრძელებენ მეექვსე საუკუნეში საქართველოში შემორჩენილ ცამეტ ახურულ მამათაგან ერთ-ერთი წმინდანის, ში მღვიმელის საქმეს, რომელიც წმინდანთა ცხოვრებას მგელთან დამკვიდრების სახელით შემორჩა, ყველამ კარგად ვიცით ში მღვიმელის ხატი, რომლის გვერდით მგელს ვხედავთ, ცნობილია, რომ ამ წმინდანმა თავისი ლოცვით მოაქცია და მოიშინაურა მგელი, რომელიც იმ ტყეში მცხოვრებ მეცხვარეებს ცხოვრება უჭამდა. ში მღვიმელმა ლოცვის შედეგად იმდენიც მოახერხა, რომ მგელი არათუ ჭამდა ცხვარს, არამედ მათი მწყემსი და დამცველი გახდა.

15 აპრილს ვაშლივანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო

დარბაზში, ადამიანსა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ვგუფის ორგანიზებით, ჩატარდა კონკურსის გზით შერჩეული მოსწავლეების თემების პრეზენტაცია, ლონისიძეა საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და მას რეაგირების ვგუფის ხელმძღვანელი - თიმიურაზ პოპიაშვილი უძღვებოდა.

„შირაქში“ ამ პროექტის შესახებ უკვე დინერა, თუმცა ამჯერად კვლავ გვინერს და ვაგრძელებთ ამ თემის ორგვლოვ საუბარს. შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში აუზნავე მტაცებელი ცხოველი ნითელ წინგშია შეტანილი და მათ არსებობას სერიოზულად ემუქრება გადაშენების საფრთხე. სწორედ ამის გამო შესაბამისი ორგანიზაციების და დაინტერესებული სპეციალისტების მიერ აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტები მტაცებელი ცხოველების გადარჩენის და მათი ადამიანებთან თანაარსებობის კუთხით. ამ საკითხით, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისასალმებელია, რომ ჩვენი რაიონის ახალგაზრდა მკვლერი თიმიურაზ პოპიაშვილია დაინტერესებული. ის ცდილობს რაიონის მოსწავლე ახალგაზრდების და თითოეული მოქალაქის ცნობიერებაში მიიტანოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბუნებაში მტაცებლებს თავისი როლი აკისრიათ და რომ მათ არსებობას ხელი კი არ უნდა შეუშალოთ, პირიქით ადამიანებმა მათთან თანაარსებობაზე ვიფიქროთ.

მასთან შემდგარი ჩვენი საუბრო შედეგ, მინდა მოსახლეობას ვამცნო, მგელი არც ისე ბევრი ყოფილა ჩვენს რეალობაში, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება, თუ ღამე ყმულის ხმა გვესმის ესენი ტურები არიან, რომლებსაც ადამიანის იმაზე უფრო მეტად ეშინია, ვიდრე ჩვენ მისი. სინამდვილეში კი, მგელი, ტურა და დათვი არც ისე მამობი ცხოველებია, როგორც ეს ჩვენს ცნებაშია დანერგული, მათი არსებობა ველურ ბუნებაში ისეთივე აუცილებელი და საჭიროა, როგორც მდინარისთვის თევზი და კაცობრიობისთვის შაერი. საერთოდაც უნდა აღინიშნოს, რომ ლონისიძეა კონკურსის სასათის გახლდათ და მასში რაიონის სკოლების ის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას, რომელთა თემებმაც წარმოდგინილი ცხრა საკონკურსო თემიდან ყველაზე დიდი მონაწილეობა დაიმსახურა და რჩეულთა სამეულში მოხდნენ. ამ შედეგის მიზანი სამ გამარჯვებულ მოსწავლეს შორის პირველ, მეორე, მესამე ადგილებზე პაექრობა გახლდათ. ლონისიძეაზე ჟიურს წარმოადგენდნენ ორგანიზაცია „შოლის“ სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის კოორდინატორი ნინო მარკოზაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი თეა ლეკაშვილი და ბიოლოგი, ქაჭუნას დაცული ტერიტორიების სპეციალისტი ნათია ზურაბიძე.

აი, რას ამბობდნენ ვაშლივანის დაცული ტერიტორიების ოფისში მოსული კონკურსანტები

მტაცებლებზე, რომლებზეც არაერთი ლიტერატურა წაიკითხეს და კარგად გაეცნენ მტაცებელთა არსებობის აუცილებლობას:

- „მინისა და ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნის ზრდის ფონზე ადამიანი სულ მეტად იჭრება ველურ ცხოველთა საბინადრო გარემოში. ამას ემატება ისიც, რომ გარეული ცხოველები ხშირად პირუტყვსა თუ მოსავალს ემტყვებიან. აქედან გამომდინარე, ადამიანსა და მტაცებელს შორის კონფლიქტი სამწუხაროდ გარდაუვალია. ეს კონფლიქტი მეტ-ნაკლები სიმწვავეთი მთელ მსოფლიოში დგას. ნებისმიერ ტერიტორიაზე, სადაც ადამიანს ველური ბუნების სახლოვებს უნებს ცხოვრება, ადამიანისა და მტაცებლის თანაარსებობა დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული. საქართველოში ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, ძირითადად მეგლთან თანაარსებობის პრობლემა დგას, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში მტაცებლები (ლომი, ლოპარდი, ავაზა, ვეფხვი...) ხშირად არა მარტო პირუტყვს, არამედ ადამიანებსაც ესხმიან თავს. თუმცა გარეული ცხოველთა თავდასხმების ძირითადი მიზეზი მტაცებელთა საცხოვრებელი გარემოს განადგურება და მათი ბუნებრივი საკვები ბაზის მოსაზობაა, რაც როგორც წესი, ადამიანის დაუდევარი ქცევის შედეგია. ამ პრობლემიდან ერთად-ერთი გამოსავალი საზიარო გარემოში ადამიანისა და მტაცებელის თანაარსებობის გზების ძიებაა.“ - ამბობს სოფელ ოზანის მემფიდე კლასის მოსწავლე სალომე თარაშვილი, რომელსაც იმ დღეს თავისი თემა ჰქონდა წარმოდგენილი ფინალურ შეხვედრაზე სახელწოდებით, - „როგორ მესმის ადამიანისა და მტაცებლებს შორის კონფლიქტი“, თემის ხელმძღვანელი ამავე სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი ელისა მთუაშვილი გახლდათ.

მეორე თემა იგივე სათაურით მეორე საჯარო სკოლის მოსწავლემ სოფო ვეტერიძემ წარმოგვიდგინა, ხოლო მესამე კონკურსანტის რანგში ქვემო ქედის საჯარო სკოლის მოსწავლე მაკა ბუბუნაური მოგვევლინა თემით „მტაცებელი ცხოველები და მათი როლი ადამიანის ცხოვრებაში“.

შეხვედრამ და მოსწავლეების მიერ წარმოდგენილმა თემებმა ძალიან საინტერესო დისკუსია გამოიწვია, რაც საქმიან საუბარსა და სამომავლო პერსპექტივების დასახევაში გადაიზარდა; კონკურსანტებმა კარგად გააერთიანეს თავი ერთ-ერთი მიერ დასმულ კითხვებზე პასუხებს.



აქვე კიდევ ერთხელ გაიმეორეს ის სუთი ძირითადი კომპონენტი, რაც ხელს გვაძლევს შევქმნად კონფლიქტი ადამიანსა და მტაცებელს შორის:

1. კონფლიქტზე რეაგირების ვგუფის შექმნა.
  2. ცნობიერების ამაღლება და კომუნიკაცია.
  3. პირუტყვის ვეტერინარული მდგომარეობის გაუმჯობესება.
  4. პირუტყვის მცველი ძალების ხარისხის გაუმჯობესება.
  5. პირუტყვის დაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
- შეხვედრის ბოლოს კონკურსის შედეგები ასე განაწილდა: პირველი ადგილი სამარტოლიანად ერგო ოზანის საჯარო სკოლის მოსწავლეს სალომე თარაშვილს, მეორე ადგილი მიიღო მეორე საჯარო სკოლის მოსწავლემ სოფო ვეტერიძემ, ხოლო მესამე ადგილზე ქვემო ქედის მაკა ბუბუნაური გავიდა. სამივე მოსწავლემ მიიღო სამხსოვრო საჩუქრები წინგების სახით, პირველი ადგილის მფლობელ სალომე თარაშვილს კი, წინგთან ერთად საჩუქრად გადაეცა საველე კარავი.
- შეგახსენებთ, რომ „ნაკრესის“ ადამიანისა და მტაცებლებს შორის კონფლიქტზე რეაგირების ვგუფი შეიქმნა 2011 წელს (ვგუფის ხელმძღვანელი თიმიურაზ პოპიაშვილი). ვგუფის მიზანია პროექტის ზემოთჩამოთვლილი კომპონენტების განხორციელება და კონფლიქტის მუდმივი მონიტორინგი. მონიტორინგის ფარგლებში ვგუფის წევრები აგროვებენ კონფლიქტთან დაკავშირებულ ინფორმაციებს და ცდილობენ ადგილზე ნახონ და აღწერონ პირუტყვზე მტაცებლის თავდასხმის შემთხვევები.
- და ბოლოს, კიდევ ერთხელ დავფიქრებთ და გავანალიზოთ მტაცებლებთან თანაარსებობის პრინციპი, ნუ შევუშლით ხელს მათ ბუნებაში არსებობას!

ლალი მისრინიძე

# „ო, ენავ, ჩემო“ ...

1801 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, აკრძალეს.

1918 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართულმა ენამ აღიდგინა სახელმწიფო ენის სტატუსი, თუმცა, ეს სტატუსი მოგვიანებით, მხოლოდ 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუციით განისაზღვრა.

1978 წლის 14 აპრილს 100 ათასამდე ადამიანი წინ აღუდგა სსრკ-ის ხელისუფლების

წინაშე და, სწორედ ახლა, როგორც არასდროს, სჭირდება ქართველ ერს ერთიანობა და ერთმანეთის გაძლიერება. „ენა, მამული, სარწმუნოება“ კი არის ის სამი სასწაულო-ქმედი მცნება, რომელიც გადაარჩენს ჩვენს სამშობლოს.

სამშობლოსა და მშობლიური ენისადმი უსაზღვრო სიყვარულს მიეძღვნა 14 აპრილს N1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გამართული ღონისძიება: „ო, ენავ, ჩემო“ ...



სკოლის ქართული ენის კათედრის პედაგოგების: მაყვალა პაპუაშვილის, ეთერ ზურკაშვილის, ქვესირ პოპიაშვილის, ლია ქადაგიძის და სკოლის დირექტორის ეთერ ითარაშვილის მიერ მომზადებულმა ღონისძიებამ კიდევ ერთი დაუფიქრებელი დღე შემატა სკოლის მდიდარ მატარებს.

გადანწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების და სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადების შესახებ. ამ გადანწყვეტილებას მხოლოდ საქართველო, სომხეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები შეენიანაღმდეგნენ.

მას შემდეგ 36 წელი გავიდა... იყო 9 აპრილი, იყო 31 მარტი-დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, შემდეგ ყველასთვის კარგად ნაცნობი გაჭირვების და სიბნელის „90-ანი“ წლები... დავკარგეთ აფხაზეთი, დავკარგეთ სამხრეთ-ოსეთი, ამ ყველაფერს კი 2008 წლის აგვისტოს ომი დაემატა.

დღეს საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია. ქვეყანა უამრავი გამოწვევის

მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეებმა მთელი ენერჯითა და მონღო-მებით, მხატვრული ნიჭითა თუ ხალხური ცეკვა-სიმღერების საოცარი შესრულებით ულამაზესი დღე გვაჩუქეს დამსწრე აუდიტორიას.

„ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით“ - გრიგოლ ორბელიანის ამ სიტყვებით მოგვმართავს სცენიდან ანტონ ლომსაძე და კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს მშობლიური ენის მოფრთხილებისა და დაცვისაკენ.

„თუ იაკობ გოგებაშვილმა დედაენას უწოდა „ბურჯი ეროვნებისა“, თუ მას მიაჩნდა რომ „დედაენა არის ენა სულისა, ხოლო უცხო ენა კი- ენა მესხიერებისა“, დიდი ილა ასე

ამბობდა: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული ენააო“... ამ სიტყვებით გვემინანება მეთექვსმეტი გიგა ჩავიანძვილი.

დარბაზში მუსიკის საოცარი ჰანგები არღვევს სიჩუქს, მარი უთრუთავილის მიერ შესრულებულმა სიმღერამ: „ო, ენავ, ჩემო“ სასიამოვნო ემოციები გამოიწვია ორგველივ.

„და ასე წაბრძანდა ღმერთი ცათა შინა, და ჩვენ დაგვიტოვა ღმერთი მთა-ბარი, მიტომ საქართველოს რა არ გააჩნია, ქუხს მისი სიტყვების, სიუხვის ამავე“ ...

ამ სტრუქტურით გვამხნევებს სცენიდან რუსუდან მოდებამდე. შემდეგ დარბაზში გაიმის ბაჩანა ალილიშვილის მიერ შესრულებული სიმღერა „ქიზიყი“ (ლექსის ავტორი მაყვალა პაპუაშვილი). სიმღერებს ლექსები სცვლის, ლექსებს ქართული მწერლების გენიალური გამოხატულებები და მოსწავლეების: თათია ხუციშვილის, ელდა ოჩიაურის, მარი უთრუთავილის, ანტონ ლომსაძის, ანასტასია ყოჩიაშვილის, ეთერ შარმაზანაშვილის, მარიამ ჯორჯიანი, მალვინა ისაილოვას, თეა გონაშვილის და სხვათა მიერ გამოვლენილ დიდ სიყვარულს მშობლიური ენისა და ერისადმი დასასრული არა აქვს და არც ექნება მანამ, სანამ თითოეულ მათგანში „ქართული სული ძგერს“ და „ქართული სისხლი ჩუხჩუხებს“.



ელვა ხარაშვილი



# ენგურს გაღმა და გაყოფა

დღეს 15 აპრილია-სიყვარულის დღე. დარბაზებს მიღმა გაზაფხულია. ფანჯრიდან ნახევარი თბილისი მოჩანს. ლამაზია იგი დღისით, მაგრამ უფრო ლამაზია ღამით, როცა გაჩანჩახებული ნარიყალა და მთანინდა შუქს აფრქვევს, როცა მთაზე ნამომდგარი ახალი ეკლესია და მის გადმოსწვრივ ძველთაძველი მეტეხის ციხე ქალაქს დარაჯად დასდგომია. ეს შორს, სივრცეში მოჩანს, ახლოს კი, ზედ ფანჯრის ძირას, ქალაქის შუა გულში, ახმეტის ქუჩაზე, ერთ ლამაზ, ქალაქის უჩვეულო კარმიდამოს გადავყურებ. გულს უხარია, ისე ყვავის მის ეზოში აღუბლები, ჭერამი, მსხალი, ტყემალი, თავის რიგს ელოდებიან თუთა და ლეღვი, კომში და ვაშლი, დაკვირტულა კონხად გასხლული ხეივანი, ეზოს ბომბორა, შავი ძაღლი დარაჯობს. აშკარაა, ძალიან უყვარს თავისი სახლ-კარი კაცს, ძაღლს კი პატრონი უყვარს და ერთგულად ემსახურება მას. მე კი, უკვე მესამე თვეა დარბაზი გადავყურებ ამ ფანჯრიდან ქალაქს და ჩემი სახლ-კარი მენატრება. სიმნრით მასსენდება ის ბედნიერი დრო, როცა მე და შენ თავდაუზოგავად, ერთმანეთის მხარდამხარე ვფუსფუსებდით ჩვენს ბაღჩა-ბაღში. ეს იყო წარსული. შენ ახლა „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების სამედიცინო ცენტრის“ 306-ე პალატაში წევხარ და ჩვენ ყველა მხარში გადგევართ და გეხმარებით-მე და საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების მთელი მედპერსონალი. კლინიკის გენერალური დირექტორია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორის გონა ინგოროყვას ხელმძღვანელობით, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ჩენთვის არა მარტო როგორც მსოფლიო დონის პროფესიონალი, არამედ როგორც კეთილშობილმა ადამიანმა. მაღლობს, დიდი მადლობა ყველას. მათ შორის დღეს ერთ გოგონას გამოვარჩევ, თურატომ, ამას გზადაგზა მიხვდებით. არ დაივინოთ, დღეს ხომ სიყვარულის დღეა. მერი

კირტავა შესახვევის მედდა-დაუზარელი, ენერგიული, კარგი პროფესიონალი. 23 მარტს მისი დაბადების დღე იყო. რამდენი წლის გახდა? ქალს ასაკს არ ეკითხებიან, შესახვევად კი სასიამოვნო, საყვარელი გოგოა, უფურცული. მერიკო გალიდანაა. იქ არის მისი მამა-პაპისეული სახლი, რომელიც მას ბუნდოვნად ახსოვს:- მახსოვს, ეზოში ხეივანი გვექონდა, ზედ საქანელი იყო ჩამოშლილი, როცა ყურძენი მწიფდა და საქანელას ძალიან ვაქანებდი, ბებო მინყრებოდა, მარცვალი სცივავო. კიდევ რა მახსოვს?- სოხუმის ზოოპარკი მახსოვს, ფარშევანი რომ ვნახე, ძალიან მომეწონა და მასთან სურათის გადაღება დავიფინე. ხელის გულზე მზესუმზირა დამიყარეს და ფარშევანის გულიც ასე „მოვიწინადიე“. სამწუხაროდ, ის სურათი აღარ მაქვს, დაიკარგა, ისე, როგორც ბევრი სხვა ნივთი. მახსოვს, ენგურის დასახლება, სადაც ჩემი მშობლები -ქეთევან ცომაია და როლანდ კირტავა მუშაობდნენ. ეზოში სასრილოები და აინონა-დაინონები იდგა, ბევრი სილა ეყარა და შიგ ვთამაშობდით-იხსენებს ბავშვობას მერიკო და სევდა იპყრობს, მიზეზს ახსნა არ სჭირდება. მერე ყველაფერი აირია. მამამ ცოლ-შვილი სიდედრ-სიმამრს აბაშაში ჩაუყვანა. თვითონ აფხაზეთში დაბრუნდა და დიდხანს მისი ასავალ-დასავალი აღარ იცოდნენ. დედამ, კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, შვილები ისევ ენგურის დასახლებაში დააბრუნა და იქ ელოდა მეუღლეს. 36 კილომეტრს ფეხით გადიოდნენ, რომ გალში დარჩენილი ბებია მოეხასულებინათ, რომელიც ცოცხალი თავით არ ტოვებდა სახლ-კარს და ერთადერთ შვილს იქ ელოდებოდა. ბოლოს, როლანდი გამოჩნდა, ნაომარი, ნაჯაფარი, მაგრამ გაუტყველი. სიტუაცია ისევ მწვავე იყო. ცხოვრებამ იძულებული გახადა, თბილისში გადმოსულიყვნენ. ოთხი სული ერთ პატარა ოთახში შეასახლეს, (მამინ მერიკოს ორი უფროსი

და უკვე სტუდენტი იყო და ყაზახეთის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა, ორი კი მშობლებთან ერთად იმ პატარა ოთახში დაბინავდნენ. როლანდს, როგორც ომის მონაწილეს, სამუშაო მალე გამოუჩნდა, დედა ქალიშვილებს უცხო ქალაქში მეურვეობდა, აბაშიდან დედისძმა მატერიკოვად ეხმარებოდა და ლმერთის წყალობით, იმდენს ახერხებდნენ, გაჭირვებული მეზობლებისათვის ლუკმა არ დაეყვედრებინათ. დღე დღეს მისდევდა, დრო გადიოდა. მერიკომ და მასზე ორი წლით უფროსმა დამ სკოლა დაამთავრეს. მერიკომ სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა, მისმა დამ საბუღალტრო. უქმად ერთი დღე არ დაუკარგავთ, მამას მხარში ამოუდგნენ, ცოტა გაფართოვდნენ კიდევ და ბინაც საკუთრებაში დაიმტკიცეს.

-ეს ლმერთის დიდი წყალობაა, რამდენი ლტოლვილი დღესაც უსახლკაროდ არის და ხან სად შეიჭრებიან, ხან სად. პირველად აფხაზეთის ლტოლვილთა კლინიკაში დავიწყე მუშაობა, 18 ლარი ხელფასი მქონდა და მიხაროდა. მერე 21 ლარი რომ გამიხდა, ბედნიერი ვიყავი...-უღიმიება თავის მამინდელ განცდებზე მერიკოს.

სამი წელია, რაც „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრმა“ ბინა ახალ შენობაში დაიდო და იმ დღიდან მერიკოც ამ კოლექტივის ნაწილი გახდა. უყვართ ეს ენერგიული და გონიერი გოგონა, რომელიც ცოტა ბუზღუნაა, მაგრამ საქმეს არასოდეს ღალატობს და მის ნამუშევარს წუნს ვერ შესდებ.

ორიოდე წლის წინ ერთი ჭუბურხინჯელი ბიჭი მოხდა ამ საავადმყოფოში, მერიკო გამოჩრეულად „პატრონობდა“ ახალგაზრდას. საერთო ბევრი ჰქონდათ. ხშირად საუბრობდნენ აფხაზეთზე, მერი ბავშობას იხსენებდა, ბიჭი დღევანდელი აფხაზეთის შესახებ უყვებოდა. ბიჭი გამოჯანმრთელდა და აფხაზეთში დაბრუნდა. მაღლიერებით სასემ თან გაი-

ყოლა მერიკოსი და მთელი სამედიცინო პერსონალის პატივისცემა და ამაგი. ერთ დღესაც ბიჭს ბავშვობის მეგობარი ეწვია სანახავად. ბიჭებმა ამ მთისა თქვეს და იმ მთისა. მასპინძელმა თავისი ამბის თხრობისას სიტყვა მერიკოზეც ჩამოაგდო და მეგობარს მოუყვა, როგორი კარგი, თბილი და საყვარელი გოგო გაიცნო, როგორ დამეგობრდნენ. იმ ბიჭს კი ისეთი ინტერესი გაუჩნდა მერიკოს გაცნობის, რომ... ექება, ექება კომპიუტერში და, როგორც იქნა, მიაგნო მის კორდინატებს. დიდხანს ეხვეწა და ბოლოს დაიმეგობრა კიდევ. როგორც ახლა მოდამია, „დაინყო ვირტუალურ სამყაროში მათი „ხეტიალი“, საათობით საუბრობდნენ, ბევრი საერთო აღმოაჩინეს, ბევრი საინტერესოც ერთმანეთის ხასიათში. ასე გავიდა თითქმის წელიწადი და როგორც იქნა, მერიკო გაცნობაზე დათანხმდა ვაჟს. 23 ივნისი იყო, მთანინდის პარკში დათქვეს შეხვედრა. გოგო საგანგებოდ ახლა მოდამია, ვირტუალურად ახალი, „ფირმა“ ტაქსი შეარჩია და მანქანამ გეზი მთანინდისკენ აიღო. პირველი ნახვის მოლოდინით გული უფანცქალებდა ორივეს, მაგრამ... ოქროყანის გადასახვევთან ეს ლამაზი მანქანა ჩაქრა და აღარც დაიქოქა. მძლოლი მცდელობას არ აკლებდა, მაგრამ ამაოდ... მერიკოს ტელეფონი კი არ ჩერდებოდა. ვაჟი დედავდა, რატომ იგვიანებსო. მერიკო იფიქრა: - ალბათ, ჩემი ბედი არა არის და იმიტომ შემეშალა ხელი და უკან დაბრუნება გადაწყვიტა... გადართა ტაქსის თმაქალაჩა მძლოლი:- არაო, უთხრა, ამას არ გააკეთებ, მე ცოდვაში ნუ ჩამადგებო და ზემოდან ქვემოთ მომავალი ტაქსი გააჩერა, ფულიც თავად გადაუხადა და თან დაუბარა: ვიდრე ამ გოგოს იმ ბიჭს არა ჩააბარებ, ფეხი არ მოიცვალაო.

ასე გადავიდა მათი ურთიერთობა ვირტუალური სამყაროდან რეალურში. გაირკვა, რომ ბიჭი თბილისში, ტექნიკურ

უნივერსიტეტში სწავლისას, აფხაზეთიდან ლტოლვილ დედისთან ცხოვრობდა იმავე კორპუსში, სადაც მერი გაიზარდა, მაგრამ ერთმანეთი არასდროს ენახათ. ბედმა კი მაინც შეახვედრა ერთმანეთს და დიდი, მტკიცე სიყვარულით დააკავშირა. ბიჭი აფხაზეთიდან ხშირად გადმოდის მერიკოს და ახლობლების სანახავად. აფხაზეთში მხოლოდ დედა ჰყავს. დედისერთაა და აფხაზეთის დატოვებას არ აპირებს. როცა მერის ვეკითხები, რას იზამ, მიატოვებ აქაურობას და ნახვალ აფხაზეთში-მეთქი, მპასუხობს: - კი არ ნავალ, ჩემს ფესვებს დავუბრუნდები, თანაც ძალიან მიყვარს, რადგან შესანიშნავი ადამიანია, ორი წელია, ვიცნობ და მისგან წყენა არ მახსენდებდა, იმის მიუხედავად, რომ მე, ვალიარებ, მე იოლი ხასიათი ნამდვილად არ მაქვს. ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი მშობლები, დები, ახლობლები, ჩემთან მოსვლას (ჯერჯერობით მაინც), ვერ შეძლებენ, მომენატრებიან ისინიც და ჩემი თბილისიც, რადგან ნავალ აფხაზეთში, ნავალ იმ იმედით და რწმენით, რომ, როგორც ჩვენ შეგვახვედრა და შეგვეერთა ბედმა, ასე კვლავ დაუბრუნდება საქართველოს აფხაზეთი. არ მინდა, ეს იმედი მოკვდეს რომელიმე მხარეს.

-დღეს სიყვარულის დღეა, რას ისურვებ?- ვეკითხები.

-სიყვარულის დღე მარტო ქალ-ვაჟის სიყვარულს არ გულისხმობს. მე მიყვარს ჩემი პროფესია, ჩემი ქვეყანა, ჩემი ფუძე და სახლ-კარი, მე მიყვარს ჩემი რჩეული, ეს ყველაფერი ერთად კი ბედნიერებაა-მპასუხობს.

ლმერთო, ნუ მოუშლი ბედნიერებას, ამ ახალგაზრდებს, შეაერთე, განამტკიცე, გაამრავლე და გაალაღე ისინი. დღეს კი, დღეს, ენგურს გაღმა და გამოღმა, ორი გული სიყვარულით ძვერს და მომავალს იმედით შეწყურებს.

ნაირა გორაშვილი

# სიყვარული შობს სასწაულს...

სიყვარულის დღეს გამორჩეულად ვფიქრობთ ამ გრძნობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ვთანხმდებით, წელიწადის ყოველი დღე სიყვარულის უნდა იყოს, სიყვარულით უნდა ფეთქავდეს ადამიანთა გულები და კეთილი საქმეებისთვის განგვანყოფდეს... და მაინც, რა არის იმისთვის საჭირო, რომ სიყვარულით იყოს გამთბარი ჩვენი ცხოვრების ყოველი წუთი და მან ხშირად გაგვხადოს სასწაულის მომსწრე...

ჩვენ გვსურს, რომ ყოველი დღე რომანტიული იყოს და სიყვარულით და აღფრთოვანებით ვიყოთ აღსავსენი! მაგრამ ხშირად ამას ჩვენ „გვერდიდან“ ველოდებით.

თითქოს მოვა ვინმე სხვა და ჩვენს მაგივრად გააკეთებს ამას. ამ მოლოდინში კი შეიძლება მთელმა ცხოვრებამ გაიაროს. ამავე დროს, ურთიერთობებიც იქნება, იქნება ოჯახიც, იქნება რეალური ადამიანიც... ყოველ დღე, მაგრამ ხშირად თითქოს რაღაც გვაკლია და ამ რაღაცას ჩვენ სხვა ადამიანისაგან მოველით.

წარმოიდგინეთ, როგორ

შეიცვლება სამყარო, თუ კი ლოდინის ნაცვლად, ჩვენ მოქმედებას დავინწყებთ და თავად შევქმნით იმ ატმოსფეროს, რომელსაც სასწაულებით, სიხარულით, საჩუქრებით და სიყვარულით ავავსებთ. ისე, უბრალოდ. უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენს სამყაროს, ჩვენს ურთიერთობებს, ჩვენ თავად ვაშენებთ და არა მოვლენები, არა პარტნიორი და არც დედა და მამა. ჩვენ თავად. ისეთები, როგორებიც ვართ და ყველაფერი ის, რაც ჩვენ ამისათვის გვჭირდება, ჩვენ უკვე გვაქვს. ჩაიხედეთ საკუთარ თავში... რა გინდათ... რამ შეიძლება გაგაბედნიეროთ...აჩუქეთ ეს საკუთარ თავს, ან კიდევ ვინმეს... როგორ გრძნობთ თავს ამ დროს? დამეთანხმებით ალბათ, თუ ამას სიყვარულით, ძალდატანების გარეშე აკეთებთ, ბედნიერებას უთუოდ შეიგრძნობთ.

არადა,თუ დავფიქრდებით, მართლაც ძალიან ბევრი სიყვარულია ჩვენში. ჩვენი აღსავსენი ვართ მისით, ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ მომენტში. ზედაპირზე ხანდახან რაღაც სხვას ვხედავთ, მაგრამ თუ საკუთარი თავის სიღრმეში ჩახედვის უნა-

რი გავგანჩია, მაშინ ყოველთვის შევძლებთ დავინახოთ იქ სიყვარული და ეს, უსასრულოდ უღვევი წყაროა. ყოველთვის „ჩვენი თითის წვერებზე“ ის, რაზედაც ჩვენ ვოცნებობთ: სიყვარული, სიხლოვე, ნდობა, გულითადი სითბო და ძალიან ბევრი სიხარული. უბრალოდ, ხშირად გვაგვიწყდება ამის შესახებ. გაუკეთეთ საკუთარ თავს საჩუქარი - აჩუქეთ საკუთარ თავს სიყვარულის დღე! საკუთარ თავს და იმ ახლობელ ადამიანს, რომელიც თქვენს გვერდითაა და არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს თქვენი შეყვარებულია თუ რომელიმე თქვენი მშობელთაგანი, თქვენი შვილი, მეგობარი ან უბრალოდ ის ადამიანი, რომლისათვისაც დღეს ეს ძალიან მნიშვნელოვანია!

შეხედეთ საკუთარ თავს და თქვენს ირგვლივ სამყაროს სიყვარულის მზერით. ყველა შეყვარებულის დღე გვახსენებს, რომ სიყვარული - ეს ის ცოცხალი ძალაა, რომე-

ლიც უფლებას გვაძლევს ვიცოცხლოთ, გვიხაროდეს და ვიყოთ ბედნიერები ყოველ დღე, ყოველ წამს, ყოველ წუთს, სიყვარული ხომ ის ძალაა, რომელიც თავად ქმნის სასწაულებს! ამისი უამრავი მაგალითი მსოფლიო ისტორიამ მრავლად შემოგვინახა, ეჭვი არც შეუძლება, რომ ახლაც ბევრი ადამიანი ცდილობს დღე-

სასწაული მოუწყოს საყვარელ ადამიანს, სხვაგვარად, 21-ე საუკუნის შესაფერისად, მთავარი კი მაინც ისაა, რომ ნამდვილ გრძნობას არცერთ დროს გახუნება არ უწერია...

სიყვარულის მზით გამთბარ დღეებს გისურვებთ ყველას!

ინგა შიოლაშვილი



# აღდგომა და ქართული ტრადიციები

აღდგომას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულად ზეიმობდნენ. სამზადისს აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებენ. დიასახლისები სააღდგომო პასქებს აცხობენ, რაც გოლგოთის მთის სიმბოლოა, მთის, სადაც მაცხოვარი ჯვარზე პარასკევ დღეს აცვეს. სწორედ პარასკევ დღეს იღებება კვერცხები წითლად, რაც ასევე მაცხოვრის ჯვარცმის

შეღებვა ტრადიციად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფხვნილი არსებობს, კვერცხის შეღებვის ყველაზე ნაცად და გამართლებულ საშუალებად, დღემდე ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. გარდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთაა, ენდრო კვერცხს განსაკუთრებულ გემოს და არომატსაც ანიჭებს. ვენების პარასკევ დღეს, ანუ

სამი დღე დარჩება, რაც მაცხოვრის საფლავად ყოფნის სიმბოლოა.

რაც შეეხება სააღდგომო ტრადიციებს, იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირია.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს სამეგრელოში. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დაღვევდა და არც თამბაქოს მოწედა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო საოხრო ქვევრის თავზე დააღებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელს სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შერგოვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით ნირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. ნირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დააღებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს "გიორგონთობას" ზეიმობდნენ. აცხობდნენ

ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი

და სიმხნევის მოსამატებლად. კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონებს სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდ-



სიმბოლოა.

გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიაართვა. ტიბერიუსმა უპასუხა, მაგ კვერცხის განითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის


წითელ პარასკევს ტაძრებში მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოსხნის წესი სრულდება. ტრადიციულად იგი დღის 2 საათზე იწყება. ტაძრის შუაგული ჯვრით, წითელი კვერცხებით, პასქებითა და ყვავილებითაა მორთული.

გარდამოსხნა ტაძრის შუაგულში მისთვის სპეციალურად მოწყობილ ადგილას დააბრძანეს. იგი ტაძარში არასრული



წარმართული რიტუალიდან გამომდინარე, აღდგომის დღეს მთელი ოჯახი ერთად ღვინოს და ბოლოს, აღდგომამდე ორიოდე დღეა დარჩა, ქრისტიანული სამყარო კი მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გარდამოსვლას მოუთმენლად ელის.

აღდგომის დღეს მთელი ოჯახი ერთად ღვინოს და ბოლოს, აღდგომამდე ორიოდე დღეა დარჩა, ქრისტიანული სამყარო კი მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გარდამოსვლას მოუთმენლად ელის.



## თაბაზ (ბათია) ტუშაშვილი

ბათია, ჩვენი საუკეთესო მეგობარი, შენი დაბადების დღე მოდის, გილოცავთ მეგობრები. მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ წმინდა სანთლებს, რომ გაგინათოს სასუფეველი. შენ საუკეთესო მეგობარი იყავი და ყოველთვის მეგობრების წრეში ტრიალებდი, მათ სული და გული იყავი. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი მოულოდნელი სიკვდილი, არც გავგეროდა, არც ახლა გვჯერა ამდენი წლის შემდეგ, რომ ასეთი კარგი ადამიანი, მეგობარი, მეუღლე, მამა ჩვენს გვერდით აღარ ხარ. მაგრამ შენ ჩვენს გვერდით იქნები ყოველთვის და შენს სახელს სამეგობროში დავინყებთ არ უწერია.

შენი მეგობრები.



## ბარია (ბერი) ბრეკაშვილი

ორმოცი დღე რასწრაფად გავიდა. მოულოდნელი იყო შენი ხანმოკლე ავადმყოფობა და გაუსძლიის ის ტკივილი, რასაც მოთმინებით იტანდი. რა უღმობელი და მკაცრი ნუთისოფელი, ხშირად ვერ ვამჩნევდი, სიცოცხლეში სათანადოდ ვერ შევაფასე შენი ღირსებები და ახლა როცა უკან მოვიხედე, გავხევი მოგონებებს, წარსულის ლაბირინთებში მკაფიოდ დავინახე, თუ რა დამაკლდა. გაზაფხულის დადგომისას, 85 წლის ასაკში შეგინყავ გულისცემა. ვალმოხდილი წახვედი ამქვეყნიდან და დამიტოვე სევდანარევი მოგონებები. აღარ შემხვდები სითბოთი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე თვალებით. გულისტკივილით ვნახულობ და თვალს ვერ ვუსწორებ ყველაფერს, სადაც ერთგულად, უღალატოდ ფუფუნებდი. გავადრო და ყველაფერი გამახსენებს შენს თავს, შენს ამაგს და ღვანლს. შენ აღარ ხარ, მაგრამ მაინც ყველგან ხარ. ყველაფერი შენი ნალოლიავები, ისევ შენი სულით ისუნთქებს.

შენი ძანია ზუზიაშვილი



## ეთიერ (ფოთოლა) ჯალიაშვილი

პირველად მოვიდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული უშენოდ, ჩემო ეთო, ჩემო ფოთოლა. გილოცავ, მეგობარი, მარადიულ სასუფეველში ამ დღეს. მოვიდა მშვენიერი გაზაფხული, გაიღვიძა ბუნებამ, აყვავდა ირგვლივ ყველაფერი, შენ კარ-მიდამოშიც იგრძნობა ეს საამური სურნელი, მაგრამ შენ ვეღარ შეიგრძნობ ამ სილამაზეს და ვეღარ დატკბები ამქვეყნიურ ცხოვრებით. ჩვენს შორის აღარ არის სანიშნუ შვილი და მეუღლე, დედა, მეგობარი, სიცოცხლით სავსე ჩემი საყვარელი მეგობარი ეთო (ფოთოლა). შენი წასვლით დაამწუხრე შენი საყვარელი ქმარ-შვილი, შენი უახლოესი მეგობრები, დაქალები, კლასელები, რომელნიც შენ ძალიან გიყვარდა. ახლა გინდოდა შენ სიცოცხლე და გახარება, მაგრამ ვერაგმა ავადმყოფობამ ეს არ გაცალა. ბევრი ტკივილი გადაიტანე, ჩემო ეთო, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი, რომელიც შენი საყვარელი საქმისგან ჩამოძირებით იყო გამოწვეული. ალბათ, სწორედ ეს გახდა შენი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლის მეზეზიც. ნუთუ, სულ ეს იყო ჩემო ეთო, ასე უეცრად და ასე უჩუჩრად როგორ წახვედი, გერიდებოდა ყველასი შენი მდგომარეობის გამო, მაგრამ ეს ასე არ იყო, ღმერთმა ხომ იცის, რომ ყველაფერს ვცდილობდი, შენი თავი როგორმე გამომეყვანა ამ მდგომარეობიდან და სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა. ამიტომ ბოლოს ერთადაც კი ვმუშაობდი N3 ბაღში გვერდიგვერდ, მაგრამ მაინც ვერ შევძელი შენი ამ ქვეყნისკენ შემობრუნება. უკვე გავა მალე ხუთი თვე და ჯვრაც ვერ დამიჯერებია, რომ შენ ჩემს გვერდით აღარა ხარ. ჩემო ეთო, ჩვენი მეგობრობა შენ ხომ ნათესაობით გაამყარე, მე

შენი მონატრებული მეგობარი ნანა სმინაშვილი



# 21 აპრილი მიცვალებულთა მოხსენიების დღეა



## ილიაკო შერვაშვილი

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გლოვავ ჩემო ილიაკო, მეორედ მოვიდა ეს ლამაზი გაზაფხული, ხარობს ბუნება, ყვავის ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ საუბედუროდ ნაადრევად დაჭკნა შენი ნორჩი სიცოცხლე,

აღრიანად მიგიხურა კარი წუთისოფელმა. ჩემო უტყვიარ-უკურნებელი შვილო, როგორ ვნატრობ, ნეტავ ცუდად ყოფილიყავი, დედას ნამალი დაღვინებინა, შენთვის შუბლზე ხელი გადაესვა და მოგფერებოდა, მოგიკვდეს დედა ჩემო კეთილი ბიჭო. უბედურ დედაშენს ხორციის გული აღარ აქვს, ალბათ ღმერთმა იგი რკინის გულით შეუცვალა, თორემ როგორ შეიძლებოდა იმ უდიდესი ტკივილისთვის გაეძლო, რასაც შენი არყოფნა ჰქვია ჩემო ბიჭო.

ყოველი აღდგომის დღეს შენი ცოლ-შვილით მიდიოდი მამის საფლავზე, უნებდით წმინდა სანთელს და ულოცავდით აღდგომას, მე კი მირეკავდი და მეტყვოდი: „დედა ახლა მამას საფლავზე ვართ და იქიდან გირეკავით. მაგრამ უცნაური რამ არის ბედისწერა, სწორედ მამინ მოგივლენს უმძიმეს ტრავმას, როცა საერთოდ არ ელი. ეს არის სწორედ ერთადერთი „ნუგეშიც“, ნუგეში მამა-შვილის „შეხვედრის“. მამაშენიც ადრე ნავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ის ჩემზე ბედნიერი ყოფილა, რომ შვილის სიმწარე არ ნახა.

დედის მოუშუშებელი ტკივილი, ძნელია შეგუება, რომ შენ სურათებს ვეფერები, ვერ ვიჯერებ, რომ აღარ მოხვალ. მენატრება შენი სითბო და იმედანი სიტყვა, - ნუ გემიზნა, დედა, ყველაფერი კარგად იქნება.

განა შეიძლება, მე მზით გამოთბარ მინაზე დაგედო, შენ კი, სამარეში მეგულებოდე?! - არ მინდა ფიქრმა რეალობა მიიღოს. მოგვივარ შენს საფლავზე და ვეფერები იმ ცივ და უგრძობ ჭქის სურათს, საიდანაც შემოსცქერი შენს უბედურ დედას.

შენმა მოულოდნელმა ნასვლამ სამუდამო დადი დაასო ჩემს ცხოვრებას და დამავინა ბედნიერების არსებობა. რა უწყო იმ დიდ ტკივილს და აუტანელ სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია. შენს გარდა არავის შეუძლია ჩაიხედოს ჩემს გულში და ამოიკითხოს რაც გულში ტრიალებს. არ დამკარგვიხარ, ჩემს გულში, ჩემს ტკივილიან ფიქრებში ხარ.

რაც დრო გადის უფრო მეტად მეძლება მონატრება, განსაკუთრებით ერთადერთი შეილისა, რომელსაც იცი, რომ ველარასოდეს ნახავ, იცი და არ გიყვები. საშინელია, როცა დედა ერთადერთი შეილის საფლავზე მიდის: დედის თვალები გზას გამოჰყურებს, იცის, არ მოხვალ და მინც გელოდება. ვიცი, რომ შენც გენატრები, მაგრამ ალბათ მამა უფრო გენატრებოდა, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა და მასთან ნასვლა არჩიე. თქვენმა მონატრებამ ერთი პრიზობლემა გადაიმწყობა, სიკვდილის აღარ გემიზნა, რადგან სიკვდილის შემდეგ თქვენთან სანატრელი შეხვედრის მოლოდინი მაქვს.

მე შენს ხსოვნას დაგინებებს არ დავანებებ, სიკვდილს არ დაუთმობ შენს სახელს, სანამ მე ცოცხალი ვარ, შემდეგ კი, შენი ცოლ-შვილი გავცრდები შენი სახელის უკვადაყოფას, არაფერს მოაკლებენ შენი შვილები თავის ლამაზ და მარად ახალგაზრდა მამიკოსს.

ჩემო ილიაკო, შენი სიყვარულით ვცოცხლობ შენი სურათებით ვთბები, შენი სახელით ვსუნთქავ და შენი იმედით შევხვდები სიკვდილსაც, ჩემო და არა მინის, ჩემო და უჩემოდ ნასულო, ჩემო გაგიყვება, ჩემო ერთადერთო სანთელი.

სამოთხეში გამყოფი მამა-შვილი, თქვენთვის დანთებული სანთლები რომელსაც ყოველდღე ვანთებ, გინათებდეთ გზას და სასუფეველს, გქონდეთ ადგილი მართალთა შორის. მინავ თბილი და მსუბუქო, ტბილად ჩაიხუტე გულში სიყვარულით და სიცოცხლით გაუმადლარი ჩემი ერთადერთი შვილი, ჩემი ილიაკო.


**შენი მონატრებული დედა: ნათია იაკობაშვილი - შერვაშვილი, მეუღლე თამარა, შვილები ნინა და ილიაკო შერვაშვილი.**



## ლარეჯან კობიაშვილი

ჩვენი საყვარელი შვილი, დადგა აპრილის თვე და შენი დის დაბადების დღე, მაგრამ ის წინაღობით შენს საფლავზე მოვიდა, ცხარე ცრემლებით დაგტიროდა და გვეფერებოდა, დარო, ჩემს დაბადების დღეზე ისევე სიურპრიზად მოდი და გამახარო. მაგრამ ვაი, რომ შენ ვერასდროს მოხვალ შენი შვილების და ახლობლების დაბადების დღეზე. ძალიან გვენატრები, ჩვენი მოუშუშებელი ტკივილი. შვილო, მოვიდა ბზობა, შარშან ბზობის დღეს ერთად ვიყავით ბაზარში. აღდგომის ღამისთევაზეც ერთად ვიყავით. შენი უკურნებელი სენით დაუძლურებული ძელები ვეღარ უძლებდა ფეხზე დგომას, მაგრამ შენი ძლიერი ნებისყოფით და უფლის დიდ სიყვარულით, მთელი ღამე მრევლთან ერთად გაათიე. არასდროს არ გითხოვია და მაშინ მთხოვე, დედა ტრაპეზზეც დავრჩეთო. მეც დაგთანხმდი. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ღამისთევა, რომელიც ერთად გავაათიეთ. შენ ხომ გულწრფელ აღსარებებს აბარებდი მამა ლევანს, რომლისაც ძალიან გჯეროდა და გინდოდა ხშირად ეზარებინე. ის ამ სურვილს გისრულებდა, რაზედაც დიდ მადლობას ვუხდი. ახლა შენი ანა დედის ტაძარში, სახეთლს და მოსახსენიებელს არ გაკლებს. რადგან სჯერა, რომ ყოველი მისი ანთებული სანთელი შენს სასუფეველს გაანათებს და შენი სული ანგელოზებთან ერთად იქნება მარადიულ სასუფეველში. გლოვავთ ბზობას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ჩვენი სიცოცხლით სავე გოგო. სააღდგომო საქუქარი მოგიტანა შენმა ოჯახმა, რათა უბედური მშობლები შორიდანვე ვხედავდეთ შენს ლამაზ სახეს. შენი სხეულით გაყინულ ქვაზე გამოსახულ შენს სახეს ვეფერებოდი. შენი ნიკოლოზი სასაფლაოდან კმაყოფილი ნამოვიდა, დედას სურათებიც მომწონა და ეკლესიაშიც. ეკლესიას სასანთელს ეძახის. ძალიან ენატრები შენს ქმარ შვილს, შენს დებს. მოდიან შენს საფლავზე და ცხარე ცრემლებით დაგტირან. იზა და ნინო კი ვერ მოდიან შენს საფლავზე, არ შეგვიძლიაო. პატარა თაზო და ლიზიკუნა სულ თან გვეყვანან. ლიზი ამბობს „დათა დოიას“ სურათი სასაფლაოზე იყო. შენი სიძე ნიკა, როგორც კი შევბუღებამი ჩამოდის, მაშინვე შენს საფლავზე მიდის, ილია კი, როგორც სიძე კი არა, როგორც შენი ძმა, ყველა საქმეს ისე უდგა სათავეში. ცდილობენ, ისეთი იყოს ყველაფერი, როგორც შენს ლამაზ სულს შეეფერება. გვერდიდან არ შორდება ვაჟა ძია მამაშენს. სააღდგომოდ მოდიან შენს საფლავზე შენი ნინო და ზურა, შენი ვასიკო ძია, რომელმაც ავადმყოფობის 2 წელზე მეტი შენს მზრუნველობაში გაატარა. ამით უნდათ გვენუგემოს შენი უბედური მშობლები და პატივი მიაგოს შენს ხსოვნას. იძინე მშვიდად, ჩვენი შვილო. შენი შვილების არცერთ მშობელთა კრებას არ დაჰკლებია შენი და ქეთი. რათა შენმა შვილებმა თავი უპატრონოდ არ იგრძნონ. გვერედებს, სანთელ-საქმეველს არ მოვაკლებთ შენს საფლავს. იქნებ შეგვიბრალო და სიზმრად მაინც გვეჩვენოს, ჩვენი გაუსარელი შვილო.

**მშობლები: მარინა, ნიკო, დები: ნათია, ქეთი კობიაშვილები, მეუღლე კობა, შვილები: ანა, ნიკოლოზ კობიაშვილები.**



## ვიტორ სულაშვილი

ჩვენი

დრომ ვერაფერი შეცვალა, ჩემო ვიტორ! შენი გარდაცვალებიდან უკვე ოთხი თვე გავიდა და ეს დრო ჩემთვის ოთხ წელს უდრის.

გემებ ყველაფერს ყოველდღე ვგრძნობ, რომ შემოაღებ სახლის კარს, მაგრამ მოლოდინი სულ მიცრუვდება. სახლში თუ ვერ გხედავ, ვიფიქრებ, ეკლესიაში დამხვდება, ან სოსოს ოჯახში გივულებ თბილისში, რადგან


უფროსი შვილი ნუგზარი თავის ოჯახთან ერთად ათი წელია მორეულ ევროპაში -საფრანგეთში ცხოვრობს.

როგორ გაგვამწარა შენმა გარდაცვალებამ, ვიტორ! ნუგზარის ხომ 10 წელი არ ენახე, აღარ ჩაუხუტებინარ გულში და მამა-შვილიური სიყვარულით აღარ გისაუბრიათ. მხოლოდ იმიტომ მიატოვა თავისი პრესტიჟული სამსახური, რომ შენი თავი გაეცილებინა უკანასკნელ გზაზე. მისი შვილები ივანე და სალომე დიდი ხნის მონატრებულ ბაბუას მხოლოდ სურათში ხედავენ და ეფერებიან. უფროსი რძალი ცირა, როცა აქ იყო ჩვენს ოჯახში, მზრუნველობას არ გაკლებდა. ნუგზარი კი... რომელიც დღის შემდეგ, გაუდგა მორეულ გზას გულმოკლეული. არც უმცროსი შვილი სოსოა გალაღებული. მამის სიკვდილმა საშინლად მოუკლა გული, ატირე მისი ცოლ-შვილი. ნათია სულ თავზე დაგტირალედა, არაფერი დაიშურა შენს გამოსაჯანმრთლებლად, როცა ავად გახდი და თბილისში გადაგიყვანეთ სამკურნალოდ, ნათია თავზე დაგფოფინებდა, არაფერი დაგაკლო, შენი შვილიშვილები-საბა და მარიამი გვეფერებოდნენ, ბაბუ არ დაგეტივოთ, მაგრამ სიკვდილმა ყველა დაგვამარცხა. ისინი მარტო შენს ცივ სურათს ვეფერებოდნენ. ორივე

რძალი საკუთარ შვილად გყავდა მიღებული, რადგან შენ თვითონ გამორჩეული იყავი კეთილშობილებით, თბილი სახათებით, ამიტომ დიდი მონატრებით გკითხულობენ.

ვიტორ, 25 აპრილს ჩვენი მეუღლებიდან 50 წლის-ოქროს თარიღი უნდა გვეხეიამა-შვილებთან და ახლობლებთან ერთად. მაგრამ 16 დეკემბრის დღეს უცებ გადაინაცვლე სასუფეველისკენ 75 წლის ასაკში. ეს შენთვის ბოლო დაბადების დღე იყო. ყოველთვის ჩვენს გულში (ცოცხალი იქნებო, იყავი იქ, სადაც მართალი განისვენებენ.

**დამწერებული მეუღლე ზარა სულაშვილი**



## თამაზ ჭყჭულაშვილი

მამა, უკვე მეექვსე თვეა, ჩვენთან აღარ

უდრის. დღე არ ყოფილა, რომ არ მაგონდებოდე, შენი ცხოვრების რომელიმე დეტალი არ გამეხსენებინოს. ხშირად მესიზმრები და ყოველთვის ერთსა და იმავეს მეუბნები- ნიკა, მე შენთან ვარ და სულ შენთან ვიქნები... ასეთი ღამეები საოცრად ტკბილი და თბილია ჩემთვის, მაგრამ რომ ვიღვიძებ და სიზმარია, გული მწყდება. მამა, ყოველ შაბათ-კვირას მოვდივართ შენს საფლავთან მე და დედა, ვტირით, გვეფერებით და მერე თითქოს დამშვიდებულები, თუ ამას დამშვიდება ჰქვია, მოვდივართ დაცარიელებულ სახლში. მამა, შენს მეტი არავინ და არაფერი მაკლია, ბიძები ზრუნავენ ჩვენზე- მათ დაყვარ სკოლაში მე, დედა კი-სამსახურში.

მე და დედა ხშირად დავდივართ ეკლესიაში და ვლოცულობთ შენი სულისათვის. ამას მანამდე ვაგვგრძელებთ, სანამ ცოცხლები ვართ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

**შენი შვილი ნიკა ჭყჭულაშვილი.**



## ლიკა ხაჩაშვილი

ისევ

მოვიდა გაზაფხული და დარჩა ლამაზი ხსოვნა, დარჩა უდიდესი ტკივილი, დარჩა მარმარილოს შავი ქვა ნარწერილი ლიკა გაის ასული ხატიაშვილი.

**„საფლავის ქვაზე რა შინდა, დედა?“**

**რატომ ჩამიტედა ცხოვრების სიდი,**

**რა შორს გაფრინდი, ვერავის გხედავთ,**

**მხოლოდ ვიცოცხლე 17 წელი,**

**ნუ გემიზნა, კი არ დამკარგეთ**

**აქ ვარ, მიცვენი ანგელოზები.“**

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, სიცოცხლით გაუმადლარი, ჩემი შვილო.

**შენი ბაბუა-დედა მარია**

## ზაზა ტოკლიაშვილი



ჩემო საყვარელი შვილო ზაზა, როგორ მენატრები, უკვე 4 წელი და 5 თვე გავიდა უშენოდ ვცხოვრობთ.

სამინელი ტკივილია უშენოდ არსებობა, ჩვენთვის ძნელია ამ ტკივილის გადმოცემა, რასაც გავხვიდით უშენოდ. შენ, რომელსაც ასე გიყვარდა სიცოცხლე და სილამაზე. უშენოდ მოვიდა გაზაფხული, გაიღვიძა თითქმის ყველა არსებამ შენს გარდა. მწარე და დაუნდობელი ყოფილა ცხოვრება, შენს მონატრებაში უნდა გავატაროთ დარჩენილი ცხოვრება შენმა მშობლებმა, დეებმა და ახლობლებმა.

შენს სახელს დავინწყებ არ უნერია, ჩემო გოლიათო ვაჟკაციო. უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი და შენი მამიდა ლაურას სული. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები და ლოცვა-ვედრება გინათებდეს გზას.

**შენი მშობლები: აბაო, ვაჟიკა, დები: ია, ლაურა.**

## ლიკა ხატიაშვილი



ისევ მოვიდა გაზაფხული და დარჩა ლამაზი ხსოვნა, დარჩა უდიდესი ტკივილი, დარჩა მარმარილოს შავი ქვა ნარწერილი ლიკა გაის ასული ხატიაშვილი.

**„საფლავის ქვაზე რა შინდა, დედა?“**

**რატომ ჩამიტედა ცხოვრების სიდი,**

**რა შორს გაფრინდი, ვერავის გხედავთ,**

**მხოლოდ ვიცოცხლე 17 წელი,**

**ნუ გემიზნა, კი არ დამკარგეთ**

**აქ ვარ, მიცვენი ანგელოზები.“**

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, სიცოცხლით გაუმადლარი, ჩემი შვილო.

**შენი ბაბუა-დედა მარია**

ნაილე 19 წლის ოჯახის ტბილ-მწარე მოგონებები და ნაცრად მიქცევი ყველა ოცნება.

რა ვუთხრა ჩემს შვილებს, ქეთის და დარჩის, რომელიც დიდ ნუგესს და იმდენ ჩემს ცრემლიან თვალებში ეძებენ. შენს უფროსს შვილებს: მალხაზს და მაიას თავიანთი ოჯახები აქეთ, თუმცა, ისინიც ისევ მამის მოლოდინში არიან. ახლა მეოთხე შვილიშვილის პაპა უნდა ყოფილიყავი. ან რა ნუგეშით ვანუგეშო შენი ფრთამოკვეცილი და გულამოკლული იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს არსად ჭირის მალამო. რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, რაც არ უნდა ითქვას და რაც არ უნდა მოხდეს, შენ ისევ ჩვენი ოჯახის მამად და თავკაცად იივლები. შენი გარდაცვალების შემდეგ, ეს ცხოვრება უფრო უკიდურესად ამოურყვარი ტკივილით სავსე შემომრჩა: ნარსულმა დრომ ხელახლა იფეთქა ჩემს სულში გრიგალითი და უფრო მტკივნეული აღმოჩნდა ჩემთვის ეს ნარსული, ვიდრე-ის ნარსული.“ მაგრამ ვიცი ამ მძიმე ჭრილობას ჩემი შვილები შემხობრცენენ, ტკივილს სისარულად შემეცვლიან. შენ ხომ მუდამ მამხენებდი, ყველაფერში ძლიერი ქალი ხარ და არ უნდა დავცეო. არც ვეცემი, პირიქით, დიდი რწმენით და ჩვენი მამების და მრევლის თანადგომით, მათი სიყვარულით უფრო მსუბუქად ავივლი ცხოვრების ეკლიან აღმართს.

როცა ნარსულის გადმოსახვიდან ჩემს ცხოვრებას ვაანალიზებ, თორმე დღევანდელი დღეც არაფერი ყოფილა გვალვად და დღესთან, შენს ჩანაფიქრს მე განვახორციელებ. ჩვენს შვილებს გავზრიდ საამაყო შვილებად, რადგან შენ მარადისობაში გადაინაცვლე და ჩვენ აღარ გვეკუთვნის რა ექნა, თუ ჩემი ბედი ასეთი ყოფილა, შენს მოსაგონებლად სახატებზე ყოველთვის ენთება წმინდა სანთლები. ეს ჩვენი მოგონებებს და „განმორების“ სანთლებია, დათო, რომელიც მარად გაგინათებს სასუფეველის გზას.

„დადნა სანთელი, ჩამონადგენით დაწნდა შანდალს, ა-ნარაობის ბურუსმა მთახუქა კვლავ ვეკლავფი.“  
თ-ათიას ცრემლი დაეღვარა სიცოცხლის ფარჩას,  
ო-რა,მხელია, ვერ გიმეფლე მე, ვერაფერი.“

**დამწერებული მეუღლე: მანა მოსულიშვილი.**

დედოფლისწარმოლი ათლეტი, გონა კვიციანი, რომელიც გინესის რეკორდი ახლახან დედოფლისწარმოში დაამყარა, რიგით მეხუთე სარეკორდო ასპარეზობის ჩატარებას კვლავაც დედოფლისწარმოში გეგმავს. თუმცა, ამჯერად მის მშობლიურ სოფელ სამთაწყაროში, ლია ცის ქვეშ.

გაზეთი „შირაქი“ ოთხგზის გინესის რეკორდსმენთან ჩვენს თანამემამულე გონა კვიციანთან ინტერვიუს გთავაზობთ.

**– საკმაოდ გვიან, ფაქტობრივად 40 წლის ასაკში დაინციე აქტიური ვარჯიში, მინდა გკითხოთ, რატომ ასე გვიან?..**

– სამხედრო სამსახურის შემდეგ მუდმივად სპორტულ ცხოვრებას ვენციდი, მაგრამ ვარჯიში რასაც ვქვია და ვაქტიურობა სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა, შედარებით გვიან დაიწყო. მანამდე მცირე პაუზები მქონდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი არასოდეს შემინწყვეტია. სხვათაშორის, სპორტული ვარჯიშებში მუდმივად მრავალფეროვნება მქონდა.

**– რა მიზანი გქონდათ სპორტული კარიერის დასაწყისში?**

– ერთდროით სურვილი იყო, გინესის წიგნში მოხვედრილიყავი. მიზანი თავიდანვე ლონდონის გინესის რეკორდების წიგნი იყო და ამისთვის ვიბრძოდი. საბედნიეროდ, რამდენიმე რეკორდი დავაყარე, რომლებმაც გინესის რეკორდების ნორმატივები დააკმაყოფილა და შედეგები ოფიციალურად აღიარეს.

პირველი რეკორდი ნახლოვებაში, კავკასიის უნივერსიტეტში გაიმართა. ლონდონის მასპინძელი იყო კლუბი „რეკორდი“, რომელიც მოგვიანებით ფედერაციად ჩამოყალიბდა. შოთა ქელიძის თაოსნობით ისინი ძალიან გვერდში დაგვიდგნენ. საკმაოდ კარგად გაშუქდა ადგილობრივი და უცხოურ მედიასაშუალებებში. შემდეგ, რამდენიმე თვეში განსხვავებული რეკორდები გამოვიქვეყნე. მესამე გინესის რეკორდი 2013 წლის 14 ნოემბერს განვახორციელე. ეს იყო ორ ხელზე მიზიდვები სათანახვრის განმავლობაში და მივალნი იმ შედეგს, რაც გინესის რეკორდების წიგნს აინტერესებდა. ჩამოთვლილი სამივე რეკორდი უკვე აღიარეს. მეოთხე

# კიდევ ერთი სარეკორდო ასპარეზობა სოფელ სამთაწყაროში გაიმართება

რეკორდის პასუხიც ამჯერად მოლოდინის რეჟიმშია, თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გინესი ამასაც აღიარებს. ზოგადად, უცხოური ორგანიზაცია „ჰამბურგ რეკორდი“ დაინტერესდა ჩემი პიროვნებით, უკვე გავუზავინე მასალა, სმირი კონტაქტი გვაქვს მათთან.

**– რატომ გადაწყვიტეთ, რომ ასპარეზობა დედოფლისწარმოში ჩატარებულიყო?**

– მე დედოფლისწარმოს მკვიდრი ვარ, დაბადებული სოფელ სამთაწყაროში, ეს არის ჩემი რაიონი და ჩემი კუთხე. ამიტომაც გადაწყვიტე, რომ სიყვარულის ნიშნად, რეკორდი ჩემს კუთხე-კუთხულში, ჩემს დედოფლისწარმოში დამეყარებინა. აქ დავიბადე აქ გავიზარდე, მეამაყება ჩემი რაიონი და ძირითადი მიზანი სწორედ ეს იყო. დედოფლისწარმოს ძალიან ბევრი კარგი და გამოჩენილი სპორტსმენი ჰყავს, ბევრი განათლებული ხალხი ცხოვრობს და მინდობდა მეც ასეთი ლონდონში გამემართა და დედოფლისწარმო რამდენიმე წარმოემჩინა, მის პოპულარიზაციაში ჩემი წვლილი შეემატა. ამ ასპარეზობით რამდენად შეძელი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**– უკვე სპორტული რეკორდების დამყარებასაც დედოფლისწარმოში გეგმავთ, ამჯერად მშობლიურ სოფელ სამთაწყაროში...**

– რამდენიმე კვირაში ჩემს სოფელში, სამთაწყაროში ვგეგმავთ მეხუთე ოფიციალურ სარეკორდო ასპარეზობა გავმართოთ. წინასწარ მინდა გავახსნა, რომ ერთი საათის განმავლობაში შევცვლები ორ ძელზე აზიდვა შევასრულო და დღემდე არსებული შედეგი გავაუმჯობესო. თარიღი კონკრეტულად ჯერ არ ვიცი, თუმცა ერთი თვის ვადაში ჩავატარებ.

**– უკვე ცნობილია თუ არა ასპარეზობის ჩატარების ადგილი, სამთაწყაროს აქვს შესაბამისი შენობა?**

– (იცინის) არ მასსოვს, გინესის რეკორდისთვის მზადება შენობაში,

ან რაიმე დარბაზში დამეწყოს. მიყვარს ლია ცის ქვეშ ვარჯიში. ძირითადად გარეთ ვემზადები. უამინდობის, წვიმის, თოვლის, ქარიშხლის, თუ ნებისმიერი პირობების მიუხედავად, პირობებს არ ვუშინდები და ყოველთვის გარეთ ვვარჯიშობ. არ მქონია სპორტული ინვენტარი, ან დარბაზი სარეკორდის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, თბილისის ზღვაზე, სადაც სექციაში და სწრაფი რეაგირების რაზმი ვარჯიშობს, სმირად მქონია შემთხვევები, რომ წრეზე სირბილის დროს ისინიც ჩამომიტოვებია. სოფელ სამთაწყაროს აქვს ნორმალური სპორტული დარბაზი, მაგრამ ჩემი სურვილია, ამჯერად ლია ცის ქვეშ დავამყარო რეკორდი. ვფიქრობ, საინგლის ფონზე საკმაოდ ლამაზი სანახაობა იქნება.

**– საცდელი ასპარეზობა უკვე ჩატარეთ და ეს შედეგი მიღწეული გაქვთ, თუ რატომ ხართ დარწმუნებული, რომ რეკორდის მოსახსნელადაც მზად ხართ?**

– საცდელი ასპარეზობა უკვე მქონდა. ეს ჩემთვის ყოველდღიური ვარჯიშებია. ვცადე, და არსებულ შედეგს გადავაჭარბე, რაც იმედს მძლევეს, რომ რეკორდს ამჯერადაც მოვხსნი. ჩემთვის ეს პრობლემა არ წარმოადგენს.

**– უფრო მეტი შესაძლებლობა გაქვთ და მხოლოდ ფინანსება ხელის შეშლელი ფაქტორი, რომ სხვადასხვა რეკორდები კიდევ უფრო ხშირად დამყაროთ?**

– რა თქმა უნდა, ხელს მიშლის ფინანსები. ჩემთვის მთავარი პრობლემა და შემაფერხებელი ფაქტორებია ფინანსური სახსრები. თორემ, მე გინესის რეკორდების მოზადება ისეთ პირობებში მიხდება, ყველასთვის წარმოუდგენელია, რომ ასეთ პირობებში ამგვარი შედეგების დადგენა ვახერხებ. შემოიღია, უფრო ხშირად ვცადო სხვადასხვა სახეობებში გინესის რეკორდი დავამყარო, მაგრამ ლონდონში ჩასატარებლად საჭიროა უამრავი დეტალი და ფინანსური ხარჯები, რაც მე არ გამაჩნია...



**– თუმცა, ვიცით რომ, ბოლო შემთხვევაში დედოფლისწარმოს გამგეობა დაგეგმავთ...**

– ნამდვილად ასეა, დედოფლისწარმოში გამართული ასპარეზობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ამისათვის ძალიან მადლობელი ვარ. ეს უზარმაზარი თანადგომა რომ არ ყოფილიყო, ამ რეკორდის დამყარება ვერ მოხერხდებოდა. მადლობა მასპინძლობისთვის და გვერდში დგომისთვის, მადლობა მინდა გადაუხადო დედოფლისწარმოს გამგეობის ნიკოლოზ ჯანიაშვილს. გამგეობის მსგავსად, სპონსორი თუ არ გამოჩნდა, ლონდონში ვერ ვმართავთ, ასე რომ, ძირითადად ფინანსებზე ვართ დამოკიდებული.

**– ნუთუ ამგვარი ლონდონში მართა სპონსორები არ იჩენენ ინტერესს, გინესის რეკორდი ხომ დიდი ინტერესითა და საკმაო პოპულარობით სარეკორდო ფართო მასებში...**

– თითოეულ ჩამოსათვლელი კომპანია იჩენს ინტერესს, თუმცა მათი დიდი ნაწილი უარს აცხადებს სარეკორდო ასპარეზობების დაფინანსებაზე. ვფიქრობ, ამ მხრივ ეს სფერო კიდევ უფრო მეტ ყურადღებას და სოლიდარობას იმსახურებს. პატარა საქმე არ არის, მაგრამ ამ მხრივ ხელშეწყობა თითქმის არ გვაქვს. ბიზნესსექტორი მხარში არ გვიდგას სათანადოდ.

**– ამჟამად თბილისში ცხოვრობთ, მოდით გვიამბოთ, რატომ მოგიხდათ სოფლის დატოვება?**

– მოგესხენებათ, სამთაწყაროში ერთდროით შემოსავლის წყარო არსებობს და ეს არის ვენახი, რომელიც შევარდნაძის პერიოდში ოჯახზე თითო შექტარის ოდენობით განაწილდა. ადგილობრივი მოსახლეობა ვენახს კი ამუშავებს, მაგრამ რუსული ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ სო-

ფელში ცხოვრება ძალიან გაჭირდა. ყურძენი ლორდა 15 თეთრი, რითიც ოჯახის შენახვა ძალიან გაჭირდა. ამ თანხით მშაქმიკატების შექენსაც ვერ ვახერხებდით. თბილისში წასვლის მიზეზი სერიოზული ფინანსური პრობლემები გახდა, რომელიც სამთაწყაროში იყო. როცა ვენახი ოჯახს ვერ აკმაყოფილებდა, იძულებული ვაყავი, სხვა გზა გამომეჩინა. უკვე რამდენიმე წელია თბილისში ვცხოვრობ, თუმცა ჩემს სოფელთან სმირი კავშირი მაქვს, დედაჩემი და ძმა ისევ სამთაწყაროში ცხოვრობენ. დღესასწაულებზე აუცილებლად ჩამოვდივარ ხოლმე.

**– ამჟამად რა არის თქვენი ოჯახის ფინანსური შემოსავალი?**

– ძალიან მიზერული და მწირი შემოსავალი მაქვს. ავტოსამრეცხაოში ვმუშაობდი და რამდენიმე თვის წინ იქიდანაც მიზეზის დასახელების გარეშე გამათავისუფლეს. მას შემდეგ უმუშევრად ვარ, ვცდილობ, მაგრამ ამჟამად სამსახურს ვერსად ვმოულობ.

ილია მარტყოფლიშვილი

ქ დედოფლისწარმოში, ბაზრის ტერიტორიაზე იყიდება სასადლო „ქომსომსი“ მიმდებარე 200 კვ.მ. ტერიტორიით; შენობა 120 კვ.მ. მიწა და შენობა კერძო საკუთრება და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. მინის საკადასტრო კოდი: 520 083 40 71 ფასი შეთანხმებით.

ტელეფონები: 599 254 265; 599 553 012; 555 514 634.

**„დედოფლისწარმოს საათი“** **კვირა 17:30**

ილია მარტყოფლიშვილი

ყოველ კვირას 17:30 წუთზე დედოფლისწარმოს ახალი ამბები, ვიდეორეპორტაჟები და ადგილობრივი სტუმრები „ობიექტივის“ ეთერში თოქ-შოუ „დედოფლისწარმოს საათი“. განმეორებითი ჩვენება 00:30 წუთზე

მოძებნე თანამგზავრზე: Astra 1G: აღმ. გრძედის 31.5, სიხშირე 11817 MHz, პოლარიზაცია V, სიჩქარე 27500, FEC 5/6, ფორმატი MPEG4 და MAGTIsat-ის თეფშებზე

**ულოცავთ!**

**ბარილ ღარიბაშვილს!**

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! უფალი შეენიოს თქვენს ლამაზ ოჯახს, აღდგომის მადლმა დაიფაროს და გააძლიეროს!

სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები.

**გაია ყოჩიაშვილს!**

სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. ყოველთვის ჯანმრთელი და გახარებული გვენახეთ თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად. მეტი სიკეთე და სიხალე გეკეთებინოთ მომავალი თაობისათვის.

სამრეკლოს ბაგა-ბაღის დირექტორი მაკა ზურაბიშვილი და თანამშრომლები.

**სამკურნალო გამაჯანსაღებელი მანაქის კაბინები**

გინევეთ გამაჯანსაღებელ პროცედურებზე. აქ შეგიძლიათ ჩატაროთ მკურნალობა ოსტეოქონდროზზე, ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო მასაჟი, ასევე, საბავშვო, თაფლის, ანტიცელულიტური, ვაკუუმური, ნონის კორექციისა და გამაახალგაზრდავებელი მასაჟები. ასევე შეგიძლიათ ყურის გახვევება უმტკივნეულოდ, პისტოლეტით.

ქ. დედოფლისწარმო, რუსთაველის ქუჩა №55 ან დაგვირეკეთ ტელ: 593 13 40 56

დედოფლისწარმოს ნიკორციხის N62-ში, ყოფილი ოლივის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე ინკუბატორი „ქარიშხალა“ გთავაზობთ ქათმის და იხვის ერთდროიან, ორკვირიან, სამკვირიან წინილეს. ინკუბატორი ფუნქციონირებს 10 მარტიდან, სანარმოში უშაღლეს დონეზე დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და დამონტაჟებულია სტანდარტით შესაბამისი ინკუბატორის საჩეკი დახადგარი, სადაც ასევე დაცულია ტენიანობა და ტემპერატურის რეჟიმი. გარდა წინილის შექენისა, შეგიძლიათ მოიტანოთ იხვის, ქათმის, ბატის, ინდაურის, ციცარის, ხობის კვერცხები. გისურვებთ წარმატებებს. საკონტაქტო ტელეფონები: 599-18-00-65 ან 555 11 00 65 გიგი.

**აპრილი**

ორშაბათი 21.04 დღე ღამე	სამშაბათი 22.04 დღე ღამე	ოთხშაბათი 23.04 დღე ღამე	ხუთშაბათი 24.04 დღე ღამე	პარასკევი 25.04 დღე ღამე	შაბათი 26.04 დღე ღამე	კვირა 27.04 დღე ღამე
11°	10°	13°	12°	15°	11°	16°
11°	10°	13°	12°	15°	11°	16°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხერბიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურანლისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათია გომბაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მწეველი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწარმო, ფრონისის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწარმოს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.